ხელშეკრულება № 01/06-19
6/10 კვ. მიწისქვეშა ელ.კაბელის ტრაექტორიის დადგენა და მოკვლევა.

Договор № 01/06-19
Обследование и определение траектории подземных эл. кабелей 6/10 кв.

ქ. თბილისი 10 აპრილი 2019 წ.

Г. Тбилиси 10 июня 2019г.

შპს „ბაგები“, წარმოდგენილი დირექტორის ვასილი ჯალაღონია (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ, სს „თელასი“, გენერალური დირექტორის სერგეი კობცევის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), ვთანხმდებით შემდეგზე:

ООО «Багеби», в лице директора Василия Джалагониа (далее «Заказчик»), и со второй стороны АО «Теласи», представленный Генеральным директором С. Кобцевым (далее «Исполнитель»), соглашаемся о следующем:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 6/10 კვ. მიწისქვეშა ელ.კაბელების ს/ქ № ა1235-3301; ს/ქ № 3301-3065; და ს/ქ № 3301-3309 მოკვლევის და ტრაექტორიის დადგენის სამუშაოების შესრულება ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილთან მდებარე ნაკვეთზე ს/კ (01.14.06.007.088)

1.2 წინამდებარე ხელშეკრულება ერთჯერადია.

Статья 1. Предмет договора

1. Обследование и определение траектории подземных эл. кабелей 6/10 кв. ТП №А1235-3301, ТП №3301-3065 и ТП №3301-3309 в г. Тбилиси, на участке И/К (01.14.06.007.088), в близи Цхнетского шоссе,

1.2 Настоящий договор является одноразовым.

მუხლი 2. ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 40 (ორმოცი) სამუშაო დღის ვადით.

Статья 2. Срок

Договор вступает в силу с момента его подписания и действует в течение 40 (сорок) рабочих дней.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

დამკვეთის ვალდებულებები:

3.1 მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს შემსრულებელს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

3.2 მისი მიზეზით სამუშაოს მიმდინარეობის შეფერხების შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაოს დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გახანგრძლივება.

შემსრულებლის ვალდებულებები:

3.3 საკუთარი ძალებით, მატერიალურ და ტექნიკური საშუალებებით განახორციალოს წინამდებარე ხელშეკრულების №1 მუხლში აღნიშნული ყველა სამუშაო სრული მოცულობით, ხარისხიანად და დადგენილ ვადებში;

3.4 პასუხისმგებელია სამუშაოს გაწევის პროცესში მონაწილე მისი პერსონალის კვალიფიკაციაზე, გამოცდილებაზე, სანდოობაზე, და მათ მოქმედებაზე;

3.5 დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი უსაფრთხოების წესები (უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები).

Статья 3. Обязательства сторон

Обязательства Заказчика:

3.1 Принять выполненную работу и заплатить Исполнителю ее стоимость в соответствии с условиями настоящего Договора;

3.2 В случае задержки процесса работ по его вине, обеспечить продление срока завершение работ на соответствующий период.

Обязательства Исполнителя:

3.3 Собственными силами, материальными и техническими средствами, выполнить все работы указанные в статье 1 настоящего договора в полном объеме, качественно и вустановленные сроки;

3.4 Несет ответственность за квалификацию, опыт, надежность и действия участвующего в процессе выполнения работ своего персонала;

3.5 Соблюдать установленные действующим законодательством Грузии соответствующие правила безопасности (техники безопасности, нормы охраны труда и пожарной безопасности).

მუხლი 4. ანაზღაურება

4.1ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს: **2660.52** (ორი ათას ექვსას სამოცი ლარი და 52 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის გაწეულ მომსახურებაზე ორმხრივად დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. თუ გადახდის თარიღი ემთხვევა დასვენების დღეს გადახდა წარმოებს დასვენების შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს.

Статья 4. Вознаграждение

4.1 Стоимость работ, предусмотренных договором, составляет: **2660.52** (две тысячи шесть сот шесть десят лари и 52 тетри) лари включая НДС.

4.2 Расчёт будет производен в срок 10 (десять) календарных дней с момента представления двусторонне заверенного между сторонами, акта приема-сдачи и счёт-фактуры предоставленного обслуживания. Если дата оплаты совпадает с выходным днем, оплата производится в следующий за выходным первый же рабочий день.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა მათი ბრალეული მოქმედებებით მიყენებული ზარალისა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის; ზარალის სიდიდე განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ზარალის სიდიდეს განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტი;

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების რეგულირება და ინტერპრეტირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკებით, შეთანხმების მიუღწევლობის

Статья 5. Ответственность сторон

5.1 Стороны несут полную ответственность за ущерб, причинённый их виновными действиями и невыполнением условий договора; величина ущерба определяется по взаимной договорённости, а в случае невозможности достичь соглашения, величина ущерба определяется независимым экспертом;

5.2 Настоящий договор регулируется и толкуется в соответствии с законодательством Грузии. Все споры, которые возникнут между сторонами, решаются путём взаимных переговоров, а в случае невозможности достичь соглашение, спор решается в суде

შემთხვევაში, დავას გადაწყვეტს Грузии.
საქართველოს სასამართლო.

5.3 მხარეები თავისუფლდებიან 5.3 Стороны освобождаются от любой
ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან, თუ ответственности, если ущерб или
ზარალს ან ვალდებულებების невыполнение обязательства имели
შეუსრულებლობას ადგილი ჰქონდა место в связи с обстоятельством
დაუძლეველი ძალის გარემოებებთან непреодолимой силы; обстоятельствами
დაკავშირებით; დაუძლეველი ძალის непреодолимой силы считаются: война и
გარემოებებად მიჩნეულ უნდა იქნას: ომი боевые действия; стихийные бедствия;
და საომარი მოქმედებები; სტიქიური пожар (если вина какой-либо из сторон
უბედურებები; ხანძარი (რომელიმე отсутствует); забастовки; гражданские
მხარის ბრალის არარსებობის волнения; законодательные изменения; в
შემთხვევაში); გაფიცვები; საკანონმდებლო случае наступления обстоятельств
არეულობა; непреодолимой силы сторона, которая
ცვლილებები; დაუძლეველი ძალის не в состоянии выполнить возложенные
გარემოებების დადგომის შემთხვევაში обязательства, письменно обращается ко
მხარემ, რომელსაც არ შეუძლია второй стороне о приостановлении
დაკისრებული მოვალეობების действия договора. Если обстоятельство
შესრულება, წერილობით უნდა непреодолимой силы продолжается в
მიმართოს მეორე მხარეს ხელშეკრულების течение более трёх месяцев, стороны
მოქმედების შეჩერების შესახებ. თუ могут прекратить действие договора.
დაუძლეველი ძალის მოქმედება
გრძელდება სამ თვეზე მეტი ხნის
განმავლობაში, მხარეებს შეუძლიათ
შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

Статья 6. Прекращение договора

ხელშეკრულების შეწყვეტა ვადის Прекращение договора до истечения
ამოწურვამდე შესაძლებელია, თუ ერთ- срока возможно, если какая-либо из
ერთი მხარე სისტემატურად არღვევს сторон систематически нарушает
ხელშეკრულებით დაკისრებული возложенные договором обязательства.
ვალდებულებებს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

Статья 7. Заключительные положения

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია Настоящий договор составлен на
ქართულ და რუსულ ენაზე, თანაბარი грузинском и русском языках, в двух
იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ идентичных экземплярах, имеющих
ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს. равную юридическую силу, и передаются

ენებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ქართულენოვან ვარიანტს.

сторонам. В случае различий между текстами преимущество имеет грузиноязычный вариант договора.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი:
სს „თელასი“, ს/კ 202052580
ქ. თბილისი, ვანის ქ. #3
ტელ: +99532 77 99 99
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, UGEBGE22
ა/ა: GE83VT660000000508302

გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი

_____

Реквизиты сторон:

Исполнитель:
АО «Теласи», ИНН: 202052580
г. Тбилиси, ул. Ванская №3
Тел: +99532 77 99 99
АО «ВТБ банк Джорджиа» UGEBGE22
Р/С: GE83VT660000000508302

Генеральный директор
С. Кобцев

_____

დამკვეთი:

შპს „ბაგები“,
ს/კ 405330262
საქართველო, ქ. თბილისი, მამია გურიელის ქ., N5ა, საოფისე ფართი;
ტელ: +(955) 597 55 00 50
ბანკი: სს საქართველოს ბანკი
კოდი: BAGAGE22
ა/ა GE71BG0000000161137678

დირექტორი
ვასილი ჯალაღონია

_____

Заказчик:

ООО «Багеби»
ИНН: 405302262
Грузия, г. Тбилиси, ул. М. Гуриели №5а
Офисное помещение;
Тел: +995 597 55 00 50
Банк: АО Банк Грузии
Код: BAGAGE22
Р/с: GE71BG0000000161137678

Директор
Василий Джалагония

_____


6-10კვ კაბელი
476600
476650
476700
476750
476800
476850
4618150
4618100
4618050
4618000
4617950
4617900
3301-A1235
01.14.06.007.088
3301-3309
3065-3301
-412.2m


01.14.06.006.094
01.14.06.003.037
3000-0146
01.14.06.007.085
68.26
3000-0147
49.03
3000-0098
01.14.06.007.082
48.4
01.14.06.007.088
01.14.06.007.092
58.26916
3000-0159
10.81
01.14.06.007.067
3000-0158
8.46
01.14.06.007.089
3000-0157
38
38.24
11
3000-0205
12.46

ხელშეკრულება №31/19

ქ. თბილისი **25 ივნისი, 2019 წ.**

დამკვეთი:	შპს “ზაგები” ს/კ 405330262
ხელმძღვანელი:	დირექტორი: ვასილი ჯალაღონია
მისამართი:	ქ. თბილისი, მამია გურიელის ქ., N5ა,
შემსრულებელი:	შპს ”ქსელმშენი” ს/კ 200258620
ხელმძღვანელი:	დირექტორი: დავით ბეგოიძე
მისამართი:	ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ჯ. წურწუმიას ქ. №12
საბანკო რეკვიზიტები:	**სს ”პროკრედიტ ბანკი” ა/ა GE71PC 04 23 60 01 00 00 08 44**

ერთის მხრივ – „დამკვეთი“ და მეორეს მხრივ – „შემსრულებელი“ ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს მომსახურება დამკვეთს, კერძოდ, შეასრულოს კაბელის გადატანის სამუშაოები

2. მომსახურეობის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 მომსახურეობის ღირებულება შეადგენს **4200** ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

2.2 დამკვეთი იღებს ვალდებულებას შემსრულებელს გადაუხადოს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების **50%** ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო დარჩენილი **50%** მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან **5** სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

2.4 გადახდის ფორმა - უნაღდო.

2.5 შესასრულებელი სამუშაოების საბოლოო ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან **20** კალენდარული დღე.

3. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

3.1 დამკვეთი უფლებამოსილია სამუშაოს შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მაგრამ არაუმეტეს შესასრულებელი სამუშაოს მთლიანი ღირებულების 2%-ისა.

3.2 დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

3.3 პირგასამტეხლოს დარიცხვა არ შეიძლება გაგრძელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

4. ფორს-მაჟორი

4.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების (პირგასამტეხლოს) გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული შედეგი (ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, კარანტინი და სხვა).

4.2 ფორს-მაჟორული გარემოებები არ ათავისუფლებს მხარეს გონივრულ ვადაში გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

4.3 თუ ფორს-მაჟორული გარემოების გამო ვალდებულების შეუსრულებლობა გრძელდება 14 დღეზე მეტი ხნით, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. სხვა პირობები

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ***მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.***

5.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით 15 კალენდარული დღის ვადაში. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

5.3 ხელშეკრულებაში დამატების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5.5 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

5.6 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი	**შემსრულებელი**
შპს "ბაგები"	**შპს "ქსელმშენი"**
დირექტორი	**დირექტორი**
ვ. ჯალაღონია	**დ. ბეგოიძე**
----------	----------

ხელშეკრულება მომსახურების გაწევის თაობაზე № 07/19-10

ქ.თბილისი 25 ივნისი 2019 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ:206267494) დირექტორი ლევან ჯღარკავას სახით შემდგომში როგორც შემსრულებელი და მეორეს მხრივ შპს ბაგების (ს/კ: 405330262) დირექტორი ვასილ ჯალაღონიას სახით შემდგომში როგორც დამკვეთი, ორივე ერთად კი მხარე/მხარეები, ხელშეკრულების კონტექსტიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1ხელშეკრულების საგანი:ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.14.06.007.088)-ის მიმდებარედ განთავსებული სამი ერთეული გარე განათების საყრდენი ბოძის გადაადგილების სამუშაოები , დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

1.2 შემსრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს შეასრულებს საკუთარი ტექნიკითა და მუშახელით.

1.3 შემსრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს განახორციელებს ხელშეკრულების დანართის (მასალები/მომსახურება) მიხედვით და იგი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4 შემსრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

1.5 წინამდებარე ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევა დადასტურდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 გასაწევი მომსახურების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში ლარში.

2.2 შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს **829.00** ლარს **(რვაასოცდაცხრა ლარი)** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

2.3 განფასება დანართის სახით, თან ერთვის ხელშეკრულებას, რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია.

2.4 ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადახდა დამკვეთის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

3. დავათა გადაწყვეტა:

3.1 ხელშეკრულების მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

3.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო.

4. დასკვნითი დებულებანი:

4.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლიარი მხარისათვის

4.2 ურთიერთობები რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით,გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. *მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

შემსრულებელი:

შპს „თბილსერვის ჯგუფი“
მის. ქ. თბილისი
კახეთის გზატკეცილი №67
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
№GE21LB0113122202198000
ს/კოდი: 206267494

ლევან ჯღარკავა

დამკვეთი:

შ.პ.ს“ბაგები“
მის: ქ.თბილისი, მ.გურიელის ქ. N 5ა
ს/კ: 405330262
ტელ: 551 56 05 12

ვასილ ჯალაღონია

ქ. თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.14.06.007.088)-ის მიმდებარედ განთავსებული სამი ერთეული გარე განათების საყრდენი ბოძის გადაადგილების სამუშაოების ღირებულების გაანგარიშება

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ა/მ ამწე ბოძის დემონტაჟი/მონტაჟი (ცვეთა)	ც	1.00		-		-	81.03	81.03	81.03
2	ა/მ კოშკურას (ცვეთა)	ც	1.00		-		-	2.50	2.50	2.50
3	რკინა ბეტონის ბოძის დემონტაჟი	ც	1.00		-	40.00	40.00		-	40.00
	ლითონის ბოძის დემონტაჟი	ც	2.00		-	40.00	80.00		-	80.00
4	სანათის დემონტაჟი	ც	2.00		-	12.00	24.00		-	24.00
5	გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	0.50		-	45.00	22.50		-	22.50
6	დემონტირებული ლითონის ბოძის მონტაჟი	ც	2.00		-	40.00	80.00		-	80.00
19	ცემენტი	ტ	0.04	167.80	6.71		-		-	6.71
20	ქვიშა-ღორღი	მ^3	0.15	22.50	3.38		-		-	3.38
21	ანძის ძირის დაბეტონება	მ3	0.25		-	45.00	11.25		-	11.25
22	დემონტირებული სანათის მონტაჟი	ც	2.00		-	12.00	24.00		-	24.00
23	ა/მ საწვავის ხარჯი	ლ	100.00	2.16	216.00		-		-	216.00
	ჯამი									591.37
	ზედნადები ხარჯები 10%									59.14
	ჯამი									650.50
	მოგება 8%									52.04
	ჯამი									702.54
	დ.ღ.გ. 18%									126.46
	სულ									829.00

მომსახურების ხელშეკრულება #_____

ქ.თბილისი

"12" იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ, სს „სილქნეტი", სააქციო საზოგადოება დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N95, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978, (შემდგომში „სილქნეტი") წარმოდგენილი სს „სილქნეტის" საცალო გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის აკაკი რამიშვილის სახით

და

მეორეს მხრივ, შპს „ბაგები ", შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შექმნილი და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 405330262 ; მისამართი: თბილისი, მამია გურიელის ქ., N5ა, საოფისე ფართი, სართული 1 (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილი ჯალაღონიას სახით

(„სილქნეტი" და „დამკვეთი" შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე")

ვდებთ ამ მომსახურების ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. „ხელშეკრულების" საგანი

1.1. „სილქნეტი" „დამკვეთის" მოთხოვნის საფუძველზე, თბილისში, ვაკე, ბაგების დასახლებაში, წყნეთის გზატკეცილიზე, #ნაკვეთი 07/011-ის არსებული ტერიტორიიდან „სილქნეტის" კუთვნილი საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარებისთვის მუშა პროექტის (შემდგომში „პროექტი") მომზადებას (შემდგომში „მომსახურება");

1.2. „ხელშეკრულების" ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში „დამკვეთი" უზრუნველყოფს 200 (ორასი) ლარის გადახდას;

1.3. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული თანხის (200 (ორასი) ლარი) გადახდის შემდგომ აღმოჩნდა, რომ წინამდებარე მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მისამართზე შეუძლებელია პროექტის მომზადება, „სილქნეტი" ვალდებულია აცნობოს „დამკვეთს" აღნიშნულის თაობაზე, ამ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება და „სილქნეტი" ვალდებულია დაუბრუნოს „დამკვეთს" ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრული და „დამკვეთის" მიერ „სილქნეტისთვის" გადახდილი თანხა (200 (ორასი) ლარი).

1.4. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრული თანხის (200 (ორასი) ლარი) გადახდის შემდგომ აღმოჩნდა, რომ წინამდებარე მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მისამართზე შესაძლებელია პროექტის მომზადება, ამ ვადის დადგომის მომენტიდან სილქნეტი იღებს ვალდებულებას 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს „პროექტის" მომზადება და დამკვეთისთვის გადაცემა, ხოლო 2.1. პუნქტით გადახდილი თანხა მიმართულ იქნება „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ღირებულების ანგარიშში, ამასთან ჩაითვლება რომ დამკვეთს თანხა ანაზღაურებული აქვს სრულად, თუ მხარეები პროექტის შედგენის პროცესში დამატებით სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან;

1.5. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთი" „სილქნეტის" მიერ პროექტის გადაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში არ მიმართავს „სილქნეტს" „პროექტით" გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მოთხოვნით, „სილქნეტი" უფლებამოსილია შეცვალოს „პროექტით" გათვალისწინებული პირობები.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მომსახურების ღირებულებაა 200 (ორასი) ლარი (შემდგომში „ღირებულება").

2.2. „დამკვეთის" მიერ „ღირებულების" გადახდა განხორციელდება „ხელშეკრულების" ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, „სილქნეტის" საბანკო ანგარიშზე (ბანკი:სს. „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE97TB7404936070100004). გადარიცხვის გზით.

2.3. „დამკვეთი" ვალდებულია „ღირებულების" გადახდისას ანგარიშსწორების დანიშნულებაში მიუთითოს შემდეგი: სს „სილქნეტის" მიერ საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარებისთვის მუშა პროექტის მომზადების ღირებულება.

2.4. „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „ღირებულება" მოიცავს დღგ–ს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა სახის გადასახადს.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. „ხელშეკრულება" ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე

4. სილქნეტის უფლება-მოვალეობანი

4.1. **„სილქნეტი" ვალდებულია:**

4.1.1. სილქნეტი ვალდებულია „მომსახურება" გაწიოს სრულად „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ ვადებში.

4.2. **„სილქნეტი" უფლებამოსილია:**

4.2.1. „მომსახურების" შესრულების პერიოდში „დამკვეთისგან" მიიღოს ყველა სახის საჭირო ინფორმაცია და მოსთხოვოს „დამკვეთს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულება.

4.2. მოსთხოვოს „დამკვეთს" „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.
4.2.3. გამოიყენოს „ხელშეკრულებით" და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

5. დამკვეთის უფლება-მოვალეობანი

5.1. **„დამკვეთი" უფლებამოსილია:**
5.1.1. გამოიყენოს „ხელშეკრულებით" და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.
5.1.2. მოსთხოვოს „სილქნეტს" „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.
5.2. **"დამკვეთი" ვალდებულია:**
5.2.1. გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება" (შემდგომში „ღირებულება") „ხელშეკრულების" დებულებათა შესაბამისად.
5.2.2. „სილქნეტს" და მის პერსონალს შეუქმნას „მომსახურების" გაწევისთვის შესაბამისი პირობები. „დამკვეთის" მიერ, აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, „მომსახურების" მოცდენის შემთხვევაში, ხელშეკრულების გათვალისწინებული „პროექტის" მომზადების ვადები გადაიწევს მოცდენილი დღეების პროპორციულად;
5.2.3. „დამკვეთი" აცხადებს და ადასტურებს, რომ „სამუშაოების" განხორციელების ტერიტორიას ფლობს და სარგებლობს კანონიერად, აგრეთვე „დამკვეთს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი ნებართვა/უფლება/თანხმობა, რაც აუცილებელია მის („დამკვეთის") მიერ, „ხელშეკრულების" გასაფორმებლად და „ხელშეკრულებით" განსაზღვრული უფლება–მოვალეობების ჯეროვნად განსახორციელებლად/შესასრულებლად და „სილქნეტის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების დაუბრკოლებლად და ჯეროვნად შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის" აღნიშნული განცხადება აღმოჩნდება არასწორი, „დამკვეთი" ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს „სილქნეტს" და ყველა სათანადო მესამე პირს, აღნიშნულით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი სახის ზიანი.
5.2.4. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მხარეები" პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობებითა და წესით. თითოეული „მხარე" პასუხისმგებელია მეორე „მხარისთვის" მიყენებულ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიანზე.
6.2. „დამკვეთის" ინიციატივით „ხელშეკრულების" ცალმხრივად შეწყვეტის ან/და იმ შემთხვევაში თუ „დამკვეთის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება ან/და სრულდება არაჯეროვნად, „დამკვეთს" არ დაუბრუნდება „ხელშეკრულების" საფუძველზე გადახდილი „ღირებულება" (200 ლარი).
6.3. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის, „დამკვეთი" აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი („დამკვეთი") არ წარმოადგენს პირს რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (რომელსაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება თიზ–ის საწარმო, საერთაშორისო ფინანსური კომპანია, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი) ან/და რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა). იმ შემთხვევაში თუ „დამკვეთზე" გავრცელდება აღნიშნული სტატუსები, „დამკვეთი" ვალდებულია არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სტატუსის გავრცელების ან/და შემდგომი გაუქმების შესახებ „სილქნეტს" და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტი. ასევე, ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება და პასუხისმგებლობა, ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც „დამკვეთი" იძენს/იუქმებს ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს და სილქნეტს წარმოეშობა საგადასახადო აგენტის ვალდებულება ან თავისუფლდება ამგვარი ვალდებულებისგან. „„დამკვეთის" მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების/ვადების დარღვევის შემთხვევაში სილქნეტი უფლებამოსილია დააკისროს „დამკვეთს"ასეთი დარღვევების შედეგად საგადასახადო ორგანოს მიერ სილქნეტისთვის დაკისრებული სანქციები და საურავები.

7. ფორს-მაჟორი

7.1. „მხარეები" თავისუფლდებიან ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით. ამგვარი გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებებით: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურებები, ომი, საომარი მოქმედებები, გაფიცვები, სახელმწიფო და მმართველობის ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული აქტების (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისმობს: შესაბამისი ადმინისტრაციული ან/და არქიტექტურის სამსახურის მიერ სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვა/თანხმობის გაცემაზე უარის თქმის ან/და ხარვეზის დადგენის ან/და სხვა შემთხვევებში) მიღება, რომლის საფუძველზე შეუძლებელია „მხარეთა" მიერ ამ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად ან სრულად შესრულება, ასევე მესამე პირების მიერ (რომლთაგანაც საჭიროა „მომსახურებასთან" დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებაზე თანხმობის/ნებართვის მოპოვება) „მომსახურებასთან" დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებაზე უარის გაცხადების შეთხვევაში.
7.2. "მხარეები" ვალდებულნი არიან დაუყონებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.
7.3. ფორს-მაჟორის დადასტურების შემთხვევაში, მხარეთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გაიზრდება ფორს-მაჟორის ვადის პროპორციულად. ვადის გამოთვლა განახლდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების შემაფერხებელი ფორს - მაჟორის დასრულებისთანავე. ვადის დარჩენილი ნაწილი გაიზრდება შეფერხების ხანგრძლივობის

პროპორციულად. ფორს-მაჟორული მდგომარეობა(ებ)ის დასრულებისთანავე, „მხარეები" ვალდებულნი არიან სრულად აღადგინონ (გააგრძელონ) ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება. „მხარეები" თანხმდებიან, რომ თუკი ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტ ხანს „მხარეები" უფლებამოსილები არიან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტონ წინამდებარე „ხელშეკრულება".

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. „ხელშეკრულება" წყდება:

8.1.1. „მხარეთა" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

8.1.2. „მხარეთა" ურთიერთშეთანხმებით;

8.1.3. „ხელშეკრულების"1.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

8.2. „სილქნეტს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულება" ნებისმიერ დროს, თუ 2 (ორი) კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინებს „დამკვეთს" „ხელშეკრულების" შეწყვეტის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სილქნეტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის დამკვეთის მიერ გადახდილია ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება (200 ლარი), სილქნეტი ვალდებულია აღნიშნული ღირებულება დაუბრუნოს დამკვეთს (თუ ხელშეკრულების შეწყვეტის დროისთვის „პროექტი" არ არის მომზადებული).

8.3. „დამკვეთის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ ვადაში „ღირებულების" გადაუხდელობის, ან/და არასრულად გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან გადახდის დამატებით ვადაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შეწყდა დამკვეთის მიერ ღირებულების არასრულად გადახდის გამო და მხარეთა შორის არ არის შეთანხმება ღირებულების დარჩენილი თანხის გადახდის მიზნით დამატებითი ვადის განსაზღვრაზე, „დამკვეთს" უბრუნდება მის მიერ გადახდილი არასრული ღირებულება.

9. სილქნეტის პოლიტიკა

9.1. „დამკვეთი" აცხადებს, იძლევა გარანტიას და ადასტურებს, რომ

9.1.1. მისთვის ცნობილია „სილქნეტის" პოლიტიკა, რომელიც მკაცრად კრძალავს როგორც მისი, ასევე მასთან აფილირებული/ურთიერთდამოკიდებული საწარმოს დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების, სარგებელის ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

9.1.2. „დამკვეთს" (მათ შორის, არც მის დირექტორს, უფლებამოსილ პირს, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან აფილირებულ/ურთიერთდამოკიდებულ პირს:

9.1.2.1. „სილქნეტთან" დაკავშირებული არც ერთი ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან/და ანაზღაურება;

9.1.2.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ხელშეკრულების დადებაზე და რომლის მიზანიც არის ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა, ან/და რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული/ურთიერთდაკავშირებული საწარმოს ქმედებებზე, ან/და რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით ან/და სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

9.2. სილქნეტის პოლიტიკის (რომელიც განთავსებულია სილქნეტის ვებ გვერდზე www.silknet.com) ან წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი დებულების დარღვევა გამოიწვევს როგორც ამ, ისე „სილქნეტთან" აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს „დამკვეთის" ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და აფილირებული/ურთიერთდამოკიდებული საწარმოს პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).

9.3. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და „სილქნეტთან" აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

9.4. „დამკვეთი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „სილქნეტს" ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს „სილქნეტის" პოლიტიკასთან ან/და გამოიწვიოს ამ გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

9.5. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ „სილქნეტი" მხოლოდ მხარის ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს როგორც ამ ხელშეკრულებას, ისე მხარესთან გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ს.

9.6. „სილქნეტი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მხარის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პირობების/ვალდებულებების შესრულების შემოწმება, რა დროსაც მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს „სილქნეტთან" და წარუდგინოს მას ყველა ის დოკუმენტაცია, ახსნა-განმარტება რაც აუცილებელია „სილქნეტისთვის", მხარის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული

ვალდებულებების შესრულების შემოწმებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უარს განაცხადებს ამგვარ თანამშრომლობაზე, „სილქნეტი“ უფლებამოსილია, მასზე ყოველგვარი დამატებითი სანქციის, ჯარიმის, პირგასამტეხლოს დაკისრების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი);

10.2. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

10.3. „ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობით, „მხარეთა“ შეთანხმებით

10.4. „ხელშეკრულება“, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება „მხარეთა“ შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ამ „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლი გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს სხვა მუხლების მოქმედების შეწყვეტას;

10.6. „მხარეთა“ შორის წარმოშობილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს საქართველოს შესაბამისი სასამართლო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.7. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „სილქნეტის“ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

10.8. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „სილქნეტს“ ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი „დამკვეთს“.

სს „სილქნეტი“

აკაკი რამიშვილი
საცალო გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

შპს „ბაგები “

ალალონია
დირექტორი



01.14.06.006.094
01.14.06.003.037
3000-0146
01.14.06.007.085
68.26
3000-0147
49.03
3000-0098
01.14.06.007.082
48.4
01.14.06.007.088
01.14.06.007.092
58.26916
3000-0159
10.81
01.14.06.007.067
3000-0158
8.46
01.14.06.007.089
3000-0157
38
38.24
11
3000-0205
12.46